SCHOOLBOOK LTD
2 470 333 | info@schoolbook.ge

ხელშეკრულება№ - 19SB0109-10

მომსახურების (კომპიუტერული პროგრამა „SCHOOL BOOK"-ისა და მასზე მიბმული ვებ-გვერდის საშუალებით) შესახებ

ქ. თბილისი
01/ოქტომბერი/2019 წ

შპს „სქულბუქ", დაფუძნებული და მოქმედი საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით, საიდენტიფიკაციო კოდი: 406158367, იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი, ს. წულაძის 22, შემდგომში: **„მიმწოდებელი"**, წარმოდგენილი მისი დირექტორის ანა აბრამაშვილის სახით, ერთის მხრივ

და

სსიპ ქალაქ გორის #8 საჯარო სკოლა, დაფუძნებული და მოქმედი საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, საიდენტიფიკაციო კოდი: 218016698, იურიდიული მისამართი: გორი, პეტრიაშვილის 45, შემდგომში: **„შემსყიდველი"**, წარმოდგენილი მისი დირექტორის ნანა ედიშერაშვილის სახით, შემდგომში ერთობლივად წოდებული „მხარეები", ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

პრეამბულა:

ვინაიდან მიმწოდებელს აქვს შეუზღუდავი უფლება თავის საკუთრებაში არსებული კომპიუტერული პროგრამა „SCHOOL BOOK"-ისა და მასზე მიბმული ვებ-გვერდის საშუალებით გაუწიოს შემსყიდველს მომსახურება და მას ამისათვის მოპოვებული აქვს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა საჭირო ლიცენზია, ნებართვა და უფლება ხოლო შემსყიდველი დაინტერესებულია და თანხმობას აცხადებს მიიღოს აღნიშნული მომსახურება;

ვინაიდან ორივე მხარის სურვილია მკაფიოდ განსაზღვრონ და იურიდიულად სავალდებულო ფორმა მისცენ თავიანთ ურთიერთობას;

<u>მხარეები აფორმებენ წინამდებარე მომსახურების ხელშეკრულებას:</u>

<u>1. ტერმინთა განმარტება</u>: თუ წინამდებარე ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის განსაზღვრული, ან მისი კონტექსტიდან სხვა რამ არ გამომდინარეობს, ქვემოთ აღნიშნულ ტერმინებსა და გამოთქმებს ენიჭებათ შემდეგი მნიშვნელობები:

1.1. **მიმწოდებელი** - **შპს „სქულბუქ"**, დაფუძნებული და მოქმედი საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით, საიდენტიფიკაციო კოდი: 406158367, იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი, ს. წულაძის 22, შემდგომში: **„მიმწოდებელი"**, წარმოდგენილი მისი დირექტორის ანა აბრამაშვილის სახით, რომელიც მომხმარებელს თავისი კუთვნილი კომპიუტერული პროგრამა „SCHOOL BOOK"-ისა და მასზე მიბმული ვებ-გვერდის საშუალებით მომსახურებას უწევს მომხმარებელ სასკოლო ელექტრონული ჟურნალის წარმოების სფეროში.

1.2. **სსიპ ქალაქ გორის #8 საჯარო სკოლა**, დაფუძნებული და მოქმედი საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, საიდენტიფიკაციო კოდი: 218016698, იურიდიული მისამართი: გორი, პეტრიაშვილის 45, შემდგომში: **„შემსყიდველი"**, წარმოდგენილი მისი დირექტორის ნანა ედიშერაშვილის სახით.

1.3. **მიმწოდებლის ვებ-გვერდი** - მიმწოდებლის ინტერნეტ გვერდი, რომლის ინტერნეტ მისამართია schoolbook.ge

1,4. **კომპიუტერული პროგრამა „SCHOOL BOOK"-ის ვებ-გვერდი** - მიმწოდებლის ინტერნეტ გვერდი, რომლის ინტერნეტ მისამართია htttps://eservices.schoolbook.ge

1.5. **მომსახურება** – წინამდებარე ხელშეკრულებით და მისი დანართით განსაზღვრული მიმწოდებლის კომპიუტერული პროგრამა „SCHOOL BOOK"-ისა და მასზე მიბმული ვებ-გვერდის საშუალებით მომსახურება. მომსახურება ასევე შესაძლოა ითვალისწინებდეს შესაბამისი დამატებითი პროგრამულ მოდული(ები)თ სარგებლობას, რომელთა შეძენის სურვილსაც გამოთქვამს თავად შემსყიდველი. აღნიშნული დამატებითი მოდულების აღწერილობა და ღირებულება მითითებულია წინამდებარე ხელშეკრულების დანართი #1-ში, რომელიც წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს

1.6. **მომსახურების ღირებულება** - ფულადი თანხა, რომელსაც შემსყიდველი უნაზღაურებს მიმწოდებელი კომპიუტერული პროგრამა „SCHOOL BOOK"-ის, მასზე მიბმული ვებ-გვერდით მომსახურების და დამატებითი მოდულების არჩევის (ამგვარის არსებობის შემთხვევაში) სანაცვლოდ, განისაზღვრება მოსწავლეების რაოდენობისა და არჩეული მოდულების საფუძველზე.

1.7. **ფროდი** – მომსახურებისთვის დაწესებული მომსახურების ღირებულების გადახდისაგან თავის არიდების გზით, მომსახურების უსასყიდლოდ ან/და შემცირებულ ფასად მიღება.

1.8. **კანონმდებლობა** – საქართველოს მოქმედი საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები და საქართველოს ნორმატიულ აქტთა სისტემაში მოქცეული საერთაშორისო ხელშეკრულებები და შეთანხმებები.

1.9. **მესამე პირი** – ნებისმიერი პირი გარდა მიმწოდებლისა ან/და შემსყიდველისა.

1.10. **მხარე/მხარეები** – მიმწოდებელი ან/და შემსყიდველი, წინამდებარე ხელშეკრულების მუხლის/პუნქტის კონტექსტის შესაბამისად.

1.11. **სამუშაო დღე** – კვირის დღეები, შაბათის და კვირის ან/და საქრთველოს შრომის კოდექსით განსაზღვრული ოფიციალური უქმე დღეების გარდა.

1.12. **კომისია** – საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია.

1.13. **რეგლამენტი** – ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში მომსახურების მიწოდების წესებისა და მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ რეგლამენტი.

1.14. **პრომო აქცია** – მიმწოდებლის მიერ შესაბამისი ტიპის მომსახურების ღირებულების ან მომსახურების მახასიათებლების დროებითი ცვლილება ამგვარი პრომო აქცი(ებ)ის ფარგლებში და ვადით. აღნიშნული პირობები მითითებული იქნება შესაბამის დოკუმენტში.

1.15. **საკონტაქტო ინფორმაცია** – შემსყიდველის მიერ წინამდებარე ხელშეკრულებაში და მიმწოდებლის ვებ-გვერდზე დაფიქსირებული ფიქსირებული/მობილური კავშირის ნომერი და ელექტრონული ფოსტა. აღნიშნული საკონტაქტო ინფორმაცია უნდა იყოს იდენტური, როგორც ვებ-გვერდზე, ასევე წინამდებარე ხელკშეკრულებაში.

1.16. **ხარისხიანი მომსახურება** – უწყვეტად (გარდა წინამდებარე ხელშეკრულებით და კანონმდებლობით გათვალისწინებული გამონაკლისებისა)მიწოდებული მომსახურება მიმწოდებლის მიერ შეთავაზებული მომსახურების ტიპების ან/და მოცულობის შესაბამისად.

1.17. **ელექტრონული ხელმოწერა** – მიმწოდებლის მიერ ნებისმიერი ელექტრონული საშუალების გამოყენებით შექმნილი მონაცემთა ერთობლიობა, რომელსაც შემსყიდველი იყენებს ელექტრონულ დოკუმენტთან მისი კავშირის აღსანიშნავად.

2. ხელშეკრულების საგანი:

2.1.ხელშეკრულების საგანია წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე, მისი პირობების და ტარიფების გათვალისწინებით, მიმწოდებლის მიერ თავისი კუთვნილი კომპიუტერული პროგრამა „SCHOOL BOOK"-ისა და მასზე მიბმული ვებ-გვერდის საშუალებით (შემდგომში, **„ვებ-გვერდი"**) შემსყიდელისათვის მომსახურების გაწევა (CPV: 48600000), რაც გამოიხატება მისი სასკოლო ელექტრონული ჟურნალის წარმოებაში. მომსახურება ასევე შეიძლება მოიცავდეს შესაბამისი დამატებითი პროგრამულ მოდული(ები)თ სარგებლობას იმ პირობებით, როგორც ეს არის მითითებული წინამდებარე ხელშეკრულებაში (ხელკშეკრულების დანართი N1-ის შესაბამისად)

3. მომსახურების ღირებულება და ანგარიშსწორების წესი:

3.1. კომპიუტერული პროგრამა „SCHOOL BOOK"-ისა, მასზე მიბმული ვებ-გვერდისა და დამატებითი მოდულების დეტალური აღწერა, მოხმარების ინსტრუქცია და მათი ღირებულების დაანგარიშების შესაბამისი ტარიფები მითითებულია წინამდებარე ხელშეკრულების დანართი #1-ში, რომელიც წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს. აღნიშნული ინფორმაცია ასევე შესაძლოა მითითებული იყოს კომპანიის ვებ გვერდზე: WWW.SCHOOLBOOK.GE

3.2. წინამდებარე ხელშეკრულებით დადგენილი მომსახურების ღირებულება, დამატებითი მოდულების ღირებულება, პრომო აქციის ვადა და პირობები (ამგვარის არსებობის შემთხვევაში), ფასდაკრების პირობები

(ამგვარის არსებობის შემთხვევაში) განსაზღვრულია წინამდებარე ხელშეკრულების დანართი #1 ში დაანგარიშების შესაბამისი ტარიფებიდან გამომდინარე, მოსწავლეთა რაოდენობის, პროგრამით გათვალისწინებული დამატებითი მოდულების და სხვა კომერციული პირობების მიხედვით და გათვალისწინებით.

3.3 ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურება ან მისი ნაწილი ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

3.4. ანგარიშსწორება განხორციელდება მომსახურების მიღების შესახებ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის განმავლობაში. მიმწოდებელი ვალდებულია მიღება-ჩაბარების აქტი წარმოადგინოს ყოველი საანგარიშო თვის მომდევნო თვის პირველ რიცხვამდე. მომხმარებლის მხრიდან **პირველი გადახდა უნდა განხორციელდეს არაუგვიანეს 2019 წლის 5 ნოემბრისა,** ხოლო დანარჩენი საანგარიშო თვეების ღირებულების გადახდა უნდა მოხდეს ყოველთვიურად, მომდევნო საანგარიშო თვის არაუგვიანეს 5 (ხუთ) რიცხვამდე.

3.5. ანგარიშსწორება წარმოებს ლარში, უნაღდო ანგარიშსწორების წესით, წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებულ მიმწოდებლის საბანკო ანგარიშზე გადარიცხვის გზით.

3.6. იმ შემთხვევაში, თუ სკოლაში მოსწავლეთა რაოდენობა მნიშვნელოვნად გაიზრდება ან შემცირდება, მხარეებს უფლება აქვთ გადახედონ წინამდებარე ხელშეკრულებით დადგენილ მომსახურების ღირებულების ტარიფს. წინამდებარე პუნქტის მიზნებისათვის სკოლაში მოსწავლეთა რაოდენობის მნიშვნელოვან ცვლილებად მიიჩნევა მათი 150 (ას ორმოცდაათი) ერთეულით გაზრდა ან შემცირება.

3.7. სახელმწიფო შესყიდვის დაფინანსების წყაროა სხვა შემოსავლები

3.8.შემსყიდველის მხრიდან წინამდებარე ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლს განახორციელებს სკოლის დირექტორი **ნანა ედიშერაშვილი.**

4. ვებ-გვერდით მომსახურების შეზღუდვა და შეწყვეტა:

4.1. მიმწოდებლის მიერ ვებ-გვერდით მომსახურების შეწყვეტა, შეზღუდვა და აღდგენა ხორციელდება წინამდებარე ხელშეკრულებისა და მისი დანართის პირობათა შესაბამისად და მათი დაცვით.

4.2. ვებ-გვერდის შემსყიდველის მიერ მიმწოდებლისთვის მომსახურების ღირებულების დადგენილ ვადაში გადაუხდელობის ან/და წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრულ სხვა შემთხვევაში, მიმწოდებელი უფლებამოსილია ხელშეკრულების პირობებისა და რეგლამენტის შესაბამისად, შეუზღუდოს ან/და შეუწყვიტოს მომხმარებელს ცალკეული ტიპის ან/და ყველა სახის მომსახურება, ასევე ერთიანი მომსახურების ფარგლებში მიწოდებული ყველა ის მომსახურება, რომლის მიწოდებაც შემსყიდველისათვის ხორციელდება ერთი და იგივე ტექნოლოგიით და ერთ-ერთი მათგანის მიწოდება ტექნიკურად დამოკიდებულია მეორის მიწოდების უწყვეტობაზე, ასევე შეუწყვიტოს ნებისმიერი სახის მომსახურება შემსყიდველის წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე, მხოლოდ ამ დროისათვის მის მიერ ფაქტიური მიღებული მომსახურების ღირებულების სრული დაფარვის შემდეგ.

4.3. მიმწოდებელი უფლებამოსილია გაფრთხილების გარეშე შეიტანოს კორექტივები ან მოხსნას შემსყიდველის განცხადება/ინფორმაცია/სურათი და ნებისმიერი სხვა მონაცემები ვებ-გვერდიდან შემდეგი მიზეზების გამო და ამ შემთხვევაში ის სრულად იხსნის პასუხისმგებლობას ამგვარი ქმედებიდან გამომდინარე ზიანისაგან:

- განთავსებული ინფორმაცია ეწინააღმდეგება წინამდებარე ხელშეკრულებით დადგენილ პირობებს;

- შეიცავს ისეთ ინფორმაციას/სურათებს, რომელიც ეწინააღმდეგება საქართველოს კანონმდებლობას, საზოგადოებრივი ეთიკისა და მორალის ნორმებს, აკნინებს/ლახავს მიმწოდებლის ან/და მესამე პირებისა თუ ორგანიზაციების უფლებებსა და რეპუტაციას.

5. მომსახურებისა და ვებ-გვერდის ხარვეზების აღმოფხვრა და ვადები, აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში:

5.1. მომსახურებისა და ვებ-გვერდის ხარვეზის აღმოფხვრა მიმწოდებლის მხრიდან ხორციელდება წინამდებარე ხელშეკრულების დანართი N 2-ით გათვალისწინებულ ვადებში.

5.2. მხარეები თანხმდებიან, რომ მიმწოდებელი უფლებამოსილია შემსყიდველთან წინასწარ შეთანხმების საფუძველზე დროებით შეაჩეროს ან/და შეზღუდოს მომსახურება გეგმიური პროფილაქტიკური სამუშაოების ჩასატარებლად, შემდეგი პირობების გათვალისწინებით:

5.2.1. გეგმიური მომსახურების შეჩერების დროისა და ხანგრძლოვობის შესახებ მომხმარებლის ეცნობოს 2 (ორი) სამუშაო დღით ადრე

5.2.2. პროფილაქტიკური სამუშაოების ჩატარება მოხდეს არასამუშაო საათებში;

5.2.3. მომსახურების შეჩერების შესახებ შეტყობინების გაგზავნა მოხდეს სისტემაში მის ყველა მომხმარებელთან.

5.3. ნებისმიერი ტიპის მომსახურებისა და ვებ-გვერდის ხარვეზის შემთხვევაში, წერილობითი განცხადება წარდგენილი უნდა იქნეს კომპანიის მეილზე - info@schoolbook.ge ან შესაძლებელია ზეპირი შეტყობინების წარდგენა სატელეფონო დახმარების ცენტრში შემდეგ სატელეფონო ნომერზე - **(032) 2 470 333**

6. შემსყიდველის და მიმწოდებლის ძირითადი ვალდებულებები:

6.1.შემსყიდველი ვალდებულია/აცხადებს თანხმობას:

6.1.1. სრულად და წინამდებარე ხელშეკრულებით დადგენილ ვადაში და პირობებით გადაიხადოს მომსახურების ღირებულება;
6.1.2. არ გამოიყენოს ვებ-გვერდი საერთაშორისო ან სხვა ფასიანი ტრაფიკის არასანქცირებული გატარების ან/და ფროდის მიზნით განხორციელებულ მოქმედებებსა და სქემებში.
6.1.3. შემოსული ან გასული ინტერნეტ ტრაფიკის და სხვა ტიპის დავის განხილვისას, დაეთანხმოს მხოლოდ მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილ ინფორმაციას, თუ მარეგულირებელი ორგანოს/სასამართლოს მიერ სხვა რამ არ დადგინდება.
6.1.4. მხოლოდ საკუთარი მოხმარებისათვის გამოიყენოს ვებ-გვერდი და მისი საშუალებებით განხორციელებული მომსახურება და არ დაუშვას მიმწოდებლისგან მიღებული ნებისმიერი ტიპის მომსახურების შემდგომი მიყიდვა/გადაცემა სხვა ნებისმიერ მესამე პირზე.
6.1.5. ჯეროვნად და კეთილსინდისიერად შეასრულოს წინამდებარე ხელშეკრულებით ან/და მისი დანართებით ნაკისრი ვალდებულებები.
6.1.6. არ დაუშვას ვებ-გვერდზე ისეთი ინფორმაციისა და სურათების განთავსება, რომელიც ეწინააღმდეგება საქართველოს კანონმდებლობას, საზოგადოებრივი ეთიკისა და მორალის ნორმებს, აკნინებს/ლახავს მიმწოდებელს ან/და ნებისმიერი მესამე პირის უფლებებსა და რეპუტაციას. აღნიშნული პუნქტის დარღვევისათვის შემსყიდველს ეკისრება სრული პასუხისმგებლობა მიმწოდებლისა და მესამე პირებზე მიყენებული ზარალის ანაზღაურების მიმართ.
6.1.7. შემსყიდველი იღებს მკაფიოდ გამოხატულ ვალდებულებას მასზედ, რომ წერილობით აცნობოს მიმწოდებელს სკოლაში მოსწავლეების რაოდენობის შემცირების ან/და გაზრდის შესახებ პუნქტი 3.6 პირობების გათვალისწინებით.

7.6. შემსყიდველი უფლებამოსილია:

7.6.1. მიიღოს იმ ხარისხისა და მახასიათებლების მქონე უწყვეტი მომსახურება, რაც მითითებულია წინამდებარე ხელშეკრულებაში და მის დანართებში.
7.6.2. წარადგინოს წერილობითი და ზეპირი პრეტენზიები მომსახურების ხარვეზით მიწოდების შემთხვევაში და მოითხოვოს მათი დროული აღმოფხვრა წინამდებარე ხელშეკრულებით დადგენილი ვადების შესაბამისად.
7.6.3. მის მიერ ვებ-გვერდის პოპულარიზაციისა და რეიტინგის გაზრდის პროექტის ფარგლებში, სხვა მომხმარებლების მოზიდვის შემთხვევაში ისარგებლოს მიმწოდებლის მიერ დამატებითი შესაძლებლობების შეთავაზებისა და ფასდაკლების სისტემით.
7.6.4. მოითხოვოს მიმწოდებლისაგან წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების სრულად და ჯეროვნად შესრულება.
7.6.5. ისარგებლოს მიმწოდებლის სატელეფონო დახმარების ცენტრის მომსახურებით („ქოლ-ცენტრი"), შემდეგ სატელეფონო ნომერზე: (032) 2 470 333

7.7. მიმწოდებელი ვალდებულია:

7.7.1. მომხმარებელს მიაწოდოს ხარისხიანი მომსახურება წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობების შესაბამისად, დღე-ღამის 24 (ოცდაოთხი) საათის განმავლობაში უწყვეტად, გარდა გადაუდებელი ვებ-გვერდის სარემონტო და პროფილაქტიკური სამუშაოების მიმდინარეობისა და ხელშეკრულებით გათვალისწინებული სხვა გამონაკლისებისა.
7.7.2. წინამდებარე ხელშეკრულების და რეგლამენტით განსაზღვრული წესითა და დანართი #2-ით განსაზღვულ ვადებში აღმოფხვრას მომსახურებასთან და ვებ-გვერდთან დაკავშირებული ნებისმიერი ხარვეზი და დაზიანება.
7.7.3. კეთილსინდისიერად და ჯეროვნად შეასრულოს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებები.
7.7.4. ნებისმიერი საკითხიდან გამომდინარე წინამდებარე ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველს გადასცეს მისი ინფორმაცია (Data) (ან Excel-ის ან csv ფაილი), სადაც დაცული უნდა იყოს მონაცემთა სტრუქტურა.
7.7.5. მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველის მოთხოვნის შემთხვევაში მომხმარებელს გადასცეს SqlServer მონაცემთა ბაზის ბექაფ ფაილი.

7.7.6. ნებისმიერი საკითხიდან გამომდინარე ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში, მიმწოდებელი ვალდებულია წაშალოს შემსყიდველთან დაკავშირებული ყველა ინფორმაცია, ხელშეკრულების შეწყვეტიდან 3 წლის მანძილზე.
7.7.7. წინამდებარე ხელშეკრულების მე-10 მუხლით გათვალისწინებული შეტყობინების განხორციელების გზით, მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესითა და ვადებში, გააფრთხილოს შემსყიდველი მომსახურების მოსალოდნელი (დაგეგმილი) შეზღუდვის ან/და მიმწოდებლის ინიციატივით მომსახურების ვადაზე ადრე შეწყვეტის თაობაზე.

8.ფორს-მაჟორი:

8.1. წინამდებარე ხელშეკრულების მიზნებისათვის ფორს-მაჟორი ან დაუძლეველი ძალა ნებისმიერი მხარისთვის არის ისეთი შემთხვევა ან გარემოება, რომელიც დგება მხარეთა ნებისაგან დამოუკიდებლად და შეუძლებელია თავიდან იქნას აცილებული მიუხედავად მხარეთა გონივრული მცდელობისა და რომლის შედეგადაც ან რომლის მიზეზითაც მხარეებისთვის შეუძლებელი ხდება წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების დროული შესრულება. ასეთი შემთხვევით მიყენებული ზიანი მხარეთა შორის ანაზღაურებას არ ექვემდებარება. ამასთან ასეთი მხარე დაუყოვნებლივ აცნობებს მეორე მხარეს ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შესახებ და ყოველგვარ ძალას მიმართავს, იმისათვის, რომ შეამციროს მათი ხანგრძლივობა და შედეგი, ხოლო ამგვარი გარემოებების დამთავრებისთანავე აღადგენს წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას. ფორს-მაჟორული გარემოებები დადასტურებული უნდა იქნას სახელმწიფოს შესაბამისი კომპეტენტური ორგანოების მიერ.

9.განცხადებები და გარანტიები:

9.1. წინამდებარე ხელშეკრულებაზე ხელმოწერით შემსყიდველი ადასტურებს, რომ მას გააჩნია სრული უფლებამოსილება მისი სახელით დარეგისტრირდეს მიმწოდებლის ვებ-გვერდზე და მიიღოს წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული ყველა ტიპის მომსახურება. ასევე შემსყიდველი აღიარებს და ადასტურებს, რომ მას მოპოვებული აქვს ყველა საჭირო თანხმობა თუ ნებართვა, რომელიც აუცილებელია მიმწოდებლის ვებ-გვერდის საშუალებით მომსახურების მისაღებად.
9.2. მიმწოდებლის მიერ ვებ-გვერდის საშუალებით, კანონით დადგენილ ვადებში და ფარგლებში განხორციელებული ნებისმიერი შეტყობინება (შემსყიდველის მიერ ასეთი მომსახურებით სარგებლობის შემთხვევაში), შეთანხმება ან შეთავაზება, რომელიც დადასტურებული იქნება შემსყიდველის მიერ ელექტრონულად, ჩაითვლება მის თანხმობად და ელექტრონულ ხელმოწერად ამგვარ შეტყობინებაზე, შეთანხმებასა თუ შეთავაზებაზე და ასეთ ელექტრონულ ხელმოწერას ექნება მატერიალურ დოკუმენტზე პირადი ხელმოწერის თანაბარი იურიდიული ძალა.

10.კომუნიკაცია მხარეებს შორის:

10.1. მიმწოდებლის მხრიდან მომხმარებელთან კომუნიკაცია ხორციელდება მიმწოდებლის ვებ–გვერდის საშუალებით: WWW.SCHOOLBOOK.GE, ინდივიდუალური, მათ შორის წერილობითი, შეტყობინების გაგზავნით წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებულ მისამართზე., აგრეთვე:
10.1.1. მხარეთა მიერ წინამდებარე ხელშეკრულებაში დაფიქსირებული ელექტრონული ფოსტის მეშვეობით.
10.1.2. ავტომატური ან/და არაავტომატური სატელეფონო შეტყობინებით შემსყიდველის მიერ წინამდებარე ხელშეკრულებაში ან/და ვებ გვერდზე რეგისტრაციისას დაფიქსირებულ ნებისმიერ სატელეფონო ნომერზე (მათ შორის, როგორც ფიქსირებულ, ასევე მობილური ქსელის ნომერზე).
10.1.3. კანონმდებლობით დადგენილი სხვა საშუალებით/წესით.

11. ელექტრონული ხელმოწერა:

11.1. მხარეები წინამდებარე ხელშეკრულებაზე ხელმოწერით თანხმდებიან, რომ „ელექტრონული ხელმოწერისა და ელექტრონული დოკუმენტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, მათთვის „ელექტრონულ ხელმოწერას“ აქვს მატერიალურ დოკუმენტზე პირადი ხელმოწერის თანაბარი იურიდიული ძალა.

12. კონფიდენციალურობა:

12.1. მხარეები ვალდებული არიან წინამდებარე ხელშეკრულების და „მასთან დაკავშირებული სხვა ხელშეკრულებების" მოქმედების პერიოდში დაიცვან მეორე მხარისაგან მიღებული ნებისმიერი სახის ინფორმაციის კონფიდენციალურობა.
12.2. კონფიდენციალურობის შესახებ ზემოაღნიშნული შეზღუდვა არ შეეხება ინფორმაციას:
12.2.1. რომელიც კანონმდებლობის დარღვევის გარეშე იყო ცნობილი ინფორმაციის მიმღები მხარისათვის მეორე მხარის მიერ შესაბამისი ინფორმაციის მიწოდებამდე;
12.2.2. რომლის გამჟღავნებაც მოხდება მხარეთა მიერ კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით და შესასრულებლად, მათ შორის, რომელიმე მხარის მიერ სასამართლო წესით მისი უფლებების განსახორციელებლად;
12.2.3. რომლის მოპოვებაც შესაძლებელია სხვა კანონიერი წყაროებიდან;
12.2.4. რომელიც არის, ან გახდება მესამე პირისათვის ხელმისაწვდომი მხარეთა წერილობითი შეთანხმებით, ან მათგან დამოუკიდებლად.
12.3. მიუხედავად წინამდებარე ხელშეკრულების მე-12 მუხლით გათვალისწინებული შეზღუდვისა, შემსყიდველი მიმწოდებელის ანიჭებს უპირობო უფლებას, მისი დამატებითი წინასწარი ან შემდგომი თანხმობის გარეშე:
12.3.1. ამგვარი ინფორმაცია შემოიფარგლება მხოლოდ იმ ინფორმაციით, რაც აუცილებელია ამგვარი მომსახურების შესათავაზებლად ან/და წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული მიზნების განსახორციელებლად;
12.3.2. ინფორმაციის მიმღები პირები დაიცავენ ზემოაღნიშნულ დებულებებს ინფორმაციის კონფიდენციალობასთან დაკავშირებით.
12.3. მხარეები თანხმდებიან, რომ ვებ-გვერდზე შემსყიდველის რეგისტრაციის შედეგად მიმწოდებლის მიერ მისთვის მინიჭებული „პაროლი", შემსყიდველის პერსონალური კოდი , "PERSONAL ID" - ი, და სხვა ვებ-გვერდზე ავტორიზაციისათის საჭირო ინფორმაცია არის საიდუმლო და წარმოადგენს კონფიდენციალურ ინფორმაციას. შემსყიდველს ეკრძალება მისი გასხვისება და მისი გადაცემა მესამე პირზე. აღნიშნული ინფორმაციის უსაფრთხოებაზე უშუალო პასუხისმგებელობა ეკისრება შემსყიდველს. შესაბამისად, მათი საშუალებით განხორციელებული ნებისმიერი ქმედება და ოპერაცია ითვლება შემსყიდველის მიერ განხორციელებულად და ამგვარი ქმედების ნებისმიერ შედეგებზე, სრულად და ერთპიროვნულად პასუხისმგებელია შემსყიდველი. 12.4.1 მხარეები თანხმდებიან, რომ "პაროლის" დაკარგვის, მისი სხვა პირზე გადაცემისა და მოპარვის შემთხვევაში მიყენებულ ზარალზე მიმწოდებელი სრულად იხსნის ყოველგვარ პასუხისმგებლობას და აღნიშნულ შემთხვევაში პასუხისმგებლობა სრულად ეკისრება მომხმარებელს.

12.4.2. მხარეები თანხმდებიან, რომ მიმწოდებელი თავისი ვებ-გვერდის საშუალებით მომსახურებას უწევს მომხმარებელს, რაც გამოიხატება მისი სასკოლო ელექტრონული ჟურნალის წარმოებაში და სრულიად იხსნის პასუხისმგებლობას ვებ-გვერდით სარგებლობის პროცესში მათი მოლაპარაკებების, გარიგებების და ნებისმიერი სხვა ტიპის შეთანხმებებისა თუ კონფლიქტების შედეგებზე.

13. პრეტენზიები და დავები:

13.1. წინამდებარე ხელშეკრულებიდან ან/და მასთან დაკავშირებული სხვა ნებისმიერი ხელშეკრულებიდან გამომდინარე პრეტენზიები მხარეებმა შეიძლება ერთმანეთს წარუდგინონ წერილობით მე-10 მუხლში მითითებული საკონტაქტო ინფორმაციის მეშვეობით.
13.2. წინამდებარე ხელშეკრულების ან/და მასთან დაკავშირებული სხვა ნებისმიერი ხელშეკრულების ირგვლივ წამოჭრილი ნებისმიერი დავა განიხილება კანონით დადგენილ ვადებში, პრეტენზიის მიღებიდან 15 (თხუთმეტი) კალენდარულ დღის განმავლობაში, შესაბამისი გადაწყვეტილების მიღებით.
13.3. დავის მორიგების გზით მოუგვარებლობის შემთხვევაში, მხარეები საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით მიმართავენ სასამართლოს.

14. ხელშეკრულების შეწყვეტა:

14.1. წინამდებარე ხელშეკრულება შესაძლებელია შეწყდეს:
14.1.1.მხარეთა წერილობითი შეთანხმებით;
14.1.2. მიმწოდებლის ინიციატივით, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, შემდეგ შემთხვევებში:
14.1.2.1. შემსყიდველის მიერ წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების დარღვევის შემთხვევაში;

14.1.2.2. მიმწოდებლის მიერ შემსყიდველისათვის წერილობით შეტყობინების გაგზავნიდან 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის შემდეგ, წინამდებარე ხელშეკრულებისა და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;
14.1.2.3. შემსყიდველის მიერ მიმწოდებლისათვის ასანაზღაურებელი ნებისმიერი თანხის დადგენილ ვადაში გადაუხდელობის ან წინამდებარე ხელშეკრულებით ან/და მისი დანართებით განსაზღვრულ სხვა შემთხვევაში, მიმწოდებელი უფლებამოსილია შეუზღუდოს ან/და შეუწყვიტოს მომხმარებელს მიწოდებული მომსახურება, რომლის საფასურიც არ იქნება დროულად ანაზღაურებული შემსყიდველის მიერ ხელშეკრულების პირობების შესაბამისად. მომსახურების გადაუხდელობით განხორციელებული შეზღუდვა მოიხსნება მომსახურების საფასურის ანაზღაურების მომენტიდან.
14.1.3. შემსყიდველის ინიციატივით წინამდებარე ხელშეკრულება შესაძლებელია შეწყდეს მიწოდებული მომსახურების სანაცვლოდ ასანაზღაურებელი თანხის დაფარვის და სხვა არსებული ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შესრულებისა და მიმწოდებლისთვის წერილობით შეტყობინების გაგზავნიდან 3 (სამი) კალენდარული დღის შემდეგ.

14.1.4. იმ შემთხვევაში თუ კი ხელშეკრულების შეწყვეტა მოხდება შემსყიდველის ინიციატივით მომსახურების ღირებულების პირველი ჩარიცხვის თარიღამდე, მაშინ დაეკისროს შემსყიდველს პირგასამტეხლო 3000 ლარის ოდენობით; თუ ხელშეკრულების შეწყვეტა მოხდება მომწოდებლის ინიციატივით შემსყიდველის მხრიდან მომსახურების ღირებულების პირველი ჩარიცხვის თარიღამდე, დაეკისროს მომწოდებელს პირგასამტეხლო 3000 ლარის ოდენობით.

15. ცვლილებები და დამატებები:

15.1. წინამდებარე ხელშეკრულებაში მიმწოდებლის ინიციატივით ცვლილებებისა და დამატებების შეტანა დაიშვება წერილობით ან/და ხელშეკრულების მე–10 მუხლით განსაზღვრული შესაბამისი შეტყობინებით.
15.2. მომსახურების მიწოდებისას ტარიფების ცვლილების შემთხვევაში კომპანია უზრუნველყოფს წერილობითი შეტყობინებით მომხმარებლისათვის ამ ინფორმაციის მიწოდებას ახალი ტარიფებით მომსახურების დაწყებამდე 1 (ერთი) კალენდარული თვით ადრე.
15.2. მიმწოდებელი ვალდებულია მომხმარებელს წერილობითი შეტყობინებით მიაწოდოს ინფორმაცია, მომსახურების პირობების იმგვარი ცვლილების შესახებ, რაც ზრდის მომხმარებელზე დაკისრებული ვალდებულებების მოცულობას ან/და იმგვარად ცვლის მომსახურების პირობებს, რომ აღნიშნულს შეუძლია არსებითი გავლენა მოახდინოს შემსყიდველის გადაწყვეტილებაზე მომსახურების მიღების გაგრძელების თაობაზე, ასევე მომსახურების მიმწოდებლის ინიციატივით მომსახურების ვადაზე ადრე შეწყვეტის თაობაზე.
15.3. მიმწოდებლის მიერ 15.2. პუნქტით გათვალისწინებული უფლების გამოყენების შემთხვევაში, თუ შემსყიდველი მიმწოდებლის მიერ მიღებული შეტყობინებით გათვალისწინებული ცვლილებების ძალაში შესვლის დრომდე არ განაცხადებს წერილობით უარს შეცვლილი პირობების მისთვის მიუღებლობის შესახებ, ჩაითვლება, რომ შემსყიდველი თანახმაა მიმწოდებლის მიერ შეთავაზებულ ამგვარ ცვლილებებზე.
15.4. წინამდებარე ხელშეკრულებაში შეტანილი ცვლილებები და დამატებები თან ერთვის მას და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.

16. ზიანის ანაზღაურება, კომპენსაცია და სხვა დამატებითი პირობები:

16.1. მიმწოდებელი არ არის პასუხისმგებელი:
16.1.1. შემსყიდველის მიერ ვებ-ვერდით ინტერნეტ ქსელში გადაცემულ ინფორმაციაზე;
16.1.2. მომსახურების ხარისხზე, თუ ხარვეზი გამოწვეულია შემსყიდველის კომპიუტერების პროგრამული ვირუსით ან შემსყიდველის ლოკალური კომპიუტერის/ქსელის გაუმართაობით.
16.2. შემსყიდველი აცხადებს, რომ მის მიერ წარმოდგენილი მონაცემები, მათ შორის მისი რეკვიზიტები, სწორია.
16.3. მიმწოდებელი არ არის პასუხისმგებელი შემსყიდველის მიერ ვებ-გვერდზე განთავსებული ნებისმიერი ინფორმაციის შედეგათ დარღვეული მესამე პირების საავტორო უფლებებზე. იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებელი აღმოაჩენს ვებ-გვერდის შემსყიდველის მიერ მესამე პირის საავტორო უფლებების დარღვევის ფაქტს, ის უფლებამოსილია ამოიღოს ამგვარი ინფორმაცია და აცნობის აღნიშნული საავტორო უფლებების მქონე მესამე პირს.
16.4. შემსყიდველი ვალდებულია მიმწოდებელის დაუყოვნებლივ წერილობით აცნობოს რეკვიზიტების ცვლილებების შესახებ.
16.5. შემსყიდველი აცხადებს და ადასტურებს, რომ გაცნობილია და ეთანხმება მიმწოდებლის მიერ მომსახურების გაწევის ხელშეკრულებითა და მისი დანართებით გათვალისწინებულ წესსა და პირობებს. შემსყიდველი ასევე აცხადებს თანხმობას, რომ ხელს მოაწერს ხელშეკრულებით განსაზღვრულ დოკუმენტებს და შეასრულებს მათ პირობებს;

16.6. მხარეები ადასტურებენ, რომ ხელშეკრულების შინაარსი ზუსტად გამოხატავს მხარეთა ნებას და რომ მათ მიერ ნების გამოვლენა მოხდა ხელშეკრულების შინაარსის გონივრული განსჯის შედეგად და არა მარტოოდენ სიტყვა-სიტყვითი მნიშვნელობიდან.
16.7. წინამდებარე ხელშეკრულების რომელიმე მუხლის, პუნქტის ან/და ქვეპუნქტის ბათილობა არ გამოიწვევს მთლიანად ხელშეკრულების ან/და მისი სხვა ცალკეული მუხლის, პუნქტის ან/და ქვეპუნქტის ბათილობას. ბათილი დებულების ნაცვლად, გამოიყენება იმგვარი დებულება, რომლითაც უფრო ადვილად მიიღწევა ხელშეკრულებით, მათ შორის ბათილი დებულებით გათვალისწინებული მიზანი.
16.8. ხელშეკრულებაში მხოლობით რიცხვში გამოყენებული სიტყვები გულისხმობს მრავლობითს და პირიქით.
16.9. ხელშეკრულების მუხლ(ებ)ი, პუნქტ(ებ)ი ან/და ქვეპუნქტ(ებ)ი დანომრილია და დასათაურებულია მხოლოდ მოხერხებულობისათვის და ამ ფაქტს ხელშეკრულების ინტერპრეტაციისათვის მნიშვნელობა არ ენიჭება. მუხლ(ებ)ის, პუნქტ(ებ)ის ან/და ქვეპუნქტ(ებ)ის დასათაურებაში ან დანომვრაში ცდომილების/სხვაობის არსებობის შემთხვევაში, გამოიყენება ამავემუხლ(ებ)ის, პუნქტ(ებ)ის ან/და ქვეპუნქტ(ებ)ის) შესაბამისი შინაარსის მქონე მუხლები (პუნქტ(ებ)ი ან/და ქვეპუნქტ(ებ)ი;
16.10. წინამდებარე ხელშეკრულების ტექსტში მექანიკური ან/და ტექნიკური შეცდომის ან/და ხარვეზის არსებობის შემთხვევაში, მხარეთა მიერ, აღნიშნული შეცდომა ან/და ხარვეზი განხილული და განმარტებული უნდა იყოს ხელშეკრულების შესაბამისი წინადადების (წინადადებების) ან/და შინაარსიდან გამომდინარე. იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული შეცდომა/ხარვეზი არ შეესაბამება ხელშეკრულების სათანადო წინადადებას/წინადადებებს ან შინაარს, მას (ხარვეზი/შეცდომა) ხელშეკრულების შინაარსთან (განმარტებასთან) დაკავშირებით, არ ექნება/არ მიენიჭება რაიმე მნიშვნელობა.
16.13. შემსყიდველს უფლება არა აქვს მიმწოდებლის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე მესამე პირს გადასცეს ან გადააბაროს მასზე ხელშეკრულებით ნაკისრი ნებისმიერი ვალდებულება ან მინიჭებული უფლება (გარდა მომხმარებლი მიერ მომსახურების თანხის გადახდის ვალდებულებისა).
16.14. შემსყიდველი უფლებამოსილია მოითხოვოს პირდაპირი ზიანის/ზარალის ანაზღაურება, თუ ასეთი გამოწვეულია მიმწოდებლის ბრალით ან/და დაუდევრობით. ანაზღაურებას ექვემდებარება მხოლოდ ის ზიანი, რომელიც მიმწოდებლისთვის წინასწარ იყო სავარაუდო და წარმოადგენს ზიანის გამომწვევი მოქმედების უშუალო შედეგს. ამასთან, ზიანი დადასტურებულ უნდა იქნას კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად. მიმწოდებლის მხრიდან ანაზღაურებას არ ექვემდებარება არაპირდაპირი ზიანის კომპენსაცია, როგორიცაა, მაგ: მიუღებელი შემოსავალი ან სხვა შედეგობრივი დანაკარგი.
16.15. მიმწოდებელი არ არის პასუხისმგებელი ზარალზე, რომელსაც ადგილი ჰქონდა შემსყიდველის მიერ მონაცემთა შინაარსის ან სხვა ინფორმაციის გადაცემისას მომსახურებით სარგებლობის პროცესში. გარდა ამისა, მიმწოდებელი შეუძლებელია პასუხისმგებელი იყოს ნებისმიერ ისეთ ზარალზე, რომელიც გამოწვეულია კომპიუტერული ვირუსის გამო მონაცემთა, დაგვიანებით გადაცემის, განადგურების ან შემსყიდველის მონაცემთა დაკარგვის შედეგად, ასევე შემსყიდველის ბრალით მესამე პირისათვის მიყენებული ზარალის შემთხვევებზე.
16.16. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოითხოვოს ზიანის/ზარალის ანაზღაურება, თუ იგი გამოწვეულია შემსყიდველის ან ნებისმიერი მესამე პირის ქმედებით, ვისზეც პასუხისმგებელია შემსყიდველი.

17. რეკლამა:

17.1. შემსყიდველი აცხადებს თანხმობას, რომ მიმწოდებელი უფლებამოსილია ნებისმიერი ტექნიკური საშუალებით მიაწოდოს ინფორმაცია (განათავსოს კომპიუტერული პროგრამა „SCHOOL BOOK"-ის ელექტრონული ჟურნალის შემსყიდველის გვერდზე) ახალი მომსახურებების, სერვისების, პროექტების და სხვადასხვა სახის აქტივობების შესახებ, მათ შორის, როგორც მიმწოდებლის, ასევე მესამე პირის რეკლამა, რაც არ ეწინააღმდეგება საქართველოს კანონმდებლობას და წინამდებარე ხელშეკრულების პირობებს.
17.2. შემსყიდველის შესახებ წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ინფორმაცია შეიძლება გამოყენებულ იქნას მიმწოდებლის მიერ რეკლამის მისაწოდებლად და/ან სხვა კანონიერი მიზნებისათვის.
17.3. მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას, რომ კომპიუტერული პროგრამა „SCHOOL BOOK"-ის ელექტრონული ჟურნალის ვებ-გვერდზე განთავსებული ნებისმიერი სახის ინფორმაცია ახალი მომსახურებების, სერვისების, პროექტების და სხვადასხვა სახის აქტივობების შესახებ, მათ შორის, როგორც მიმწოდებლის, ასევე მესამე პირის რეკლამა არ დააზარალებს შემსყიდველის ინტერესებს/რეპუტაციას და არ შელახავს მის კანონიერ ინტერესებს.
17.3. მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას, რომ კომპიუტერული პროგრამა „SCHOOL BOOK"-ის ელექტრონული ჟურნალის ვებ-გვერდზე განთავსებული ნებისმიერი სახის ინფორმაცია ახალი მომსახურებების, სერვისების, პროექტების და სხვადასხვა სახის აქტივობების შესახებ, მათ შორის, როგორც მიმწოდებლის, ასევე მესამე პირის რეკლამა იქნება განთავსებული საქართველოს კანონმდებლობისა და წინამდებარე ხელშეკრულების პირობების შესაბამისად და დაცვით. მიმწოდებელი არ განათავსებს ელექტრონულ პროგრამა „SCHOOL BOOK"-ში ისეთი

ტიპის რეკლამას, რომელიც გაცდება სპორტულ, საგანმანათლებლო და მოსწავლეებთან დაკავშირებულ სფეროებს.

17.4. იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებლის მხრიდან დაფიქსირდება წინამდებარე მუხლის 17.2. და 17.3. პუნქტის დარღვევის ფაქტი, რაც დადასტურებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, კომპეტენტური ორგანოს მიერ, მიმწოდებელის ეკისრება სრული პასუხისმგებლობა შემსყიდველისათვის მიყენებული ზიანის/ზარალის ანაზღაურების მიმართ.

18. განსაკუთრებული პირობები:

18.1. მომსახურების მიწოდება განხორციელდება 2019 წლის 02 ოქტომბრიდან 2019 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მისი ხელმოწერის მომენტიდან და მოქმედებს 2020 წლის 30 იანვრის ჩათვლით. შემსყიდველი, ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის სურვილის შემთხვევაში, ვალდებულია წერილობით მიმართოს მიმწოდებელის 1 (ერთი) თვით ადრე და მოითხოვოს ხელშეკრულების შეწყვეტა ამავე ხელშეკრულების პირობათა შესაბამისად. ზეპირი შეტყობინება არ ჩაითვლება ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძვლად. ამასთან, შემსყიდველი ვალდებულია, შეწყვეტის დღესვე, სრულად დაფაროს ხელშეკრულების შეწყვეტის დღისთვის მიმწოდებლის წინაშე ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების შედეგად წარმოქმნილი ნებისმიერი დავალიანება. თავის მხრის, მიმწოდებელი ვალდებულია

18.2. წინამდებარე ხელშეკრულება რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

18.3. შემსყიდველი ადასტურებს, რომ ხელშეკრულებაზე იგი ხელს აწერს ნებაყოფლობით და გააზრებული აქვს ხელშეკრულების ყველა პირობა და დებულება.

18.4. ყველა პირობა, მხარეთა უფლება-მოვალეობანი და სხვა დებულებები, რაც არ არის გათვალისწინებული ხელშეკრულებით, რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით.

18.5. მომსახურების სახეების, ტარიფების, შეხღუდვის, შეწყვეტისა და აღდგენის პირობების, დამატებითი მომსახურების სახეების, აქციის პირობებისა და სხვა პირობების შესახებ ინფორმაცია ხელმისაწვდომია მიმწოდებლის ვებ–გვერდზე: WWW.SCHOOBOOK.GE, აგრეთვე მიმწოდებლის "ქოლ-ცენტრის" შემდეგ სატელეფონო ნომერზე: - (032) 2 470 333

18.6. წინამებარე ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, რომელთაგან თითო ეგზემპლარი გადაეცემა თითოეულ მხარეს.

18. მხარეთა რეკვიზიტები:

	მიმწოდებელი: შპს „სქუბუქ“		შემსყიდველი: სსიპ ქალაქ გორის #8 საჯარო სკოლა
მისამართი	ქ. თბილისი, ს. წულაძის 22	მისამართი	გორი, პეტრიაშვილის ქ. 45
ს/კ	406158367	ს/კ	218016698
საბანკო რეკვიზიტები	სს თიბის ბანკი ბანკის კოდი: TBCBGE22 ა/ნ: GE21 TB72 0513 6020 1000 05	საბანკო რეკვიზიტები	სს „საქართველოს ბანკი“ საბანკო კოდი: BAGAGE22 ა/ა №GE69BG0000000309599900
ტელ	(032) 2 470 333	ტელ	577922568
ელ-ფოსტა	info@schoolbook.ge	ელ-ფოსტა	Gori8@mes.gov.ge
	დირექტორი ა. აბრამაშვილი		დირექტორი ნ. ედიშერაშვილი

ხელმოწერა/ბეჭედი

ხელმოწერა/ბეჭედი

დანართი #1
მომსახურების (კომპიუტერული პროგრამა „SCHOOL BOOK"-ისა და მასზე მიბმული ვებ-გვერდის საშუალებით) შესახებ ხელშეკრულებაზე : **19SB0109-10**

ქ. თბილისი 01/ოქტომბერი/2019 წ

შპს „სქულბუქ", დაფუძნებული და მოქმედი საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით, საიდენტიფიკაციო კოდი: 406158367, იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი, ს. წულაძის 22, შემდგომში: **„მიმწოდებელი"**, წარმოდგენილი მისი დირექტორის ანა აბრამაშვილის სახით, ერთის მხრივ
და
-- დაფუძნებული და მოქმედი საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, საიდენტიფიკაციო კოდი: --, იურიდიული მისამართი: --, შემდგომში: **„შემსყიდველი"**, წარმოდგენილი მისი დირექტორის -- სახით, შემდგომში ერთობლივად წოდებული „მხარეები", ვდებთ წინამდებარე დანართ #1-ს, რომლის საფუძველზეც ვთანხმდებით შემდეგ კომერციულ პირობებზე:

1. **კომპიუტერული პროგრამა „SCHOOL BOOK"-ისა და მასზე მიბმული ვებ-გვერდის საშუალებით მომსახურების ღირებულების დაანგარიშების მატრიცა:**

კომპიუტერული პროგრამა „SCHOOL BOOK"-ისა და მასზე მიბმული ვებ-გვერდის საშუალებით მომსახურების ღირებულების დაანგარიშების მატრიცა	
მოსწავლეთა რაოდენობა:	მომსახურების სრული ღირებულება ლარში (12 თვის მანძილზე)
0-800	3300
801-1400	3500.04
1400-2000	4000.08
2001 და მეტი	4800

2. **დამატებითი პროგრამული მოდულების აღწერა და ღირებულება:**

დამატებითი პროგრამული მოდულების აღწერა და ღირებულება		
მოდულის დასახელება	მოდულის ღირებულება ლარში	მოდულის აღწერილობა
კლუბები	70	სკოლაში არსებული ყველა დამატებითი კლუბური მეცადინეობის მართვა. ადგილების და მოსწავლეთა ზღვრების დაწესება, მეცადინეობის აღწერა, და ა.შ.
ელექტრონული საქაღალდე	70	ელექტრონული საქაღალდის მეშვეობით სკოლის თანამშრომლებს და სკოლას საშუალება ექნებათ ერთმანეთს გაუზიარონ სხვადასხვა დოკუმენტები.
გადახდები	50	არსებული მოდულის საშუალებით სკოლას საშუალება აქვს შექმნა ინდივიდუალური გადახდის გეგმები და აკონტროლოს დავალიანებები.

3. **კომერციული პირობები:**

No.	მომსახურების დასახელება	მოსწავლეთა რაოდენობა	ყოვეთვიური ღირებულება ლარში	ყოველთვიური ფასდაკლებული ფასები ლარში
1	კომპიუტერული პროგრამა „SCHOOL BOOK"-ისა და მასზე მიბმული ვებ-გვერდის საშუალებით მომსახურება	400	275 ₾	220 ₾
	კლუბები		0	0
	ელექტრონული საქაღალდე		0	0
მომსახურების საერთო ღირებულება დამატებითი მოდულ(ებ)ის, პრომო აქციის/ფასდაკლების (აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში) და სხვა პირობების გათვალისწინებით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე აღნიშნულ ღირებულებაში შედის პროგრამის შემსწავლელი ტრენინგი სკოლის მასწავლებლებისა და ადმინისტრაციისათვის და სკოლის პირველადი ბაზის იმპორტი კომპიუტერულ პროგრამა „SCHOOL BOOK"-ში				660 ლ (3 თვე ნახევრიანი გადახდის გეგმა)
ხელშეკრულების მიწოდების ვადაში (31.12.2019-ის ჩათვლით) მიმწოდებელი არ გაზრდის მომსახურების ღირებულებას.				

4. წინამდებარე დანართის ხელმოწერის მომენტიდან უქმდება მხარეთა შორის არსებული ნებისმიერი წინა კომერციული პირობები (მათ შორის ხელშეკრულების 3.2 პუნქტით განსაზღვრული მომსახურების ღირებულება და სხვა კომერციული პირობები)

5. წინამდებარე დანართი წარმოადგენს მომსახურების (კომპიუტერული პროგრამა „SCHOOL BOOK"-ისა და მასზე მიბმული ვებ-გვერდის საშუალებით) შესახებ ხელშეკრულებაზის განუყოფელ ნაწილს და თან ერთვის მას

6. წინამდებარე დანართი ძალაში შედის მხარეების მიერ მისი ხელმოწერის მომენტიდან და მოქმედებს ძირითადი ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში

7. მხარეები თანხმდებიან, რომ იმ შემთხვევაში, თუ ისინი გააფორმებენ რამოდენმე დანართ N1-ს, მათ შორის პრიორიტეტი მიენიჭება ბოლოს (ახალი თარიღით) გაფორმებულ დანართს, ხოლო დანართის ნომერი რჩება უცვლელი.
8. მხარეები თანხმდებიან, რომ მასწავლებლების ტრენინგი ჩატარდება 27/09/2019-ში, ხოლო ბაზების ატვირთვა კი მოხდება შემსყიდველის მიერ მისი მოწოდებიდან 2(ორ) სამუშაო დღეში.

მიმწოდებელი: შპს "სქულბუქ"	შემსყიდველი: სსიპ ქალაქ გორის #8 საჯარო სკოლა
დირექტორი: ანა აბრამაშვილი	დირექტორი: ნანა ედიშერაშვილი
ხელმოწერა/ბეჭედი	ხელმოწერა/ბეჭედი

დანართი #2
მომსახურების (კომპიუტერული პროგრამა „SCHOOL BOOK"-ისა და მასზე მიბმული ვებ-გვერდის საშუალებით) შესახებ ხელშეკრულებაზე: **19SB0109-10**

ქ. თბილისი 01/ოქტომბერი/2019 წ

შპს „სქულბუქ", დაფუძნებული და მოქმედი საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით, საიდენტიფიკაციო კოდი: 406158367, იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი, ს. წულაძის 22, შემდგომში: „მიმწოდებელი", წარმოდგენილი მისი დირექტორის ანა აბრამაშვილის სახით, ერთის მხრივ
და
სსიპ ქალაქ გორის #8 საჯარო სკოლა, დაფუძნებული და მოქმედი საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, საიდენტიფიკაციო კოდი: 218016698, იურიდიული მისამართი: გორი, პეტრიაშვილის 45, შემდგომში: „**შემსყიდველი**", წარმოდგენილი მისი დირექტორის ნანა ედიშერაშვილის სახით, შემდგომში ერთობლივად წოდებული „მხარეები", ვდებთ წინამდებარე დანართ #2-ს, რომლის საფუძველზეც ვთანხმდებით შემდეგზე:

ხარვეზების კატეგორიები და რეაგირების ვადები

ხარვეზების კატეგორიები: **ხარვეზების** კლასიფიკაცია ითვალისწინებს ოთხ (4) კატეგორიას:

ხარვეზის აღწერა	დონე	მოკვლევის მაქს. დრო	აღმოფხვრის მაქს. დრო
შემსყიდველს არ შეუძლია მისთვის კრიტიკული ფუნქციის და/ან სერვისის გამოყენება და ეს მისი საქმიანობის სრულ შეწყვეტას იწვევს.	I დონე-კრიტიკული	4 სთ	12 სთ
შემსყიდველს არ შეუძლია მნიშვნელოვანი ფუნქციის და/ან სერვისის გამოყენება, რაც მნიშვნელოვნად აფერხებს საქმიანობას, მაგრამ პირველი პრიორიტეტისაგან განსხვავებით არ იწვევს მის სრულ შეწყვეტას.	II დონე-სასწრაფო	8 სთ	48 სთ
შემსყიდველს არ შეუძლია არაკრიტიკული ფუნქციის და/ან სერვისის გამოყენება, რაც მისი საქმიანობის მცირე შეფერხებას იწვევს	III დონე-სტანდარტული	12 სთ	72 სთ
აღმოჩენილი პრობლემა არ წარმოადგენს რაიმე მნიშვნელოვან საფრთხეს	IV დონე-უმნიშვნელო	48 სთ	168 სთ

- „მხარეები" თანხმდებიან, რომ წინამდებარე დანართით გათვლისწინებული ხარვეზ(ებ)ის „მოკვლევის მაქსიმალური დრო" აითვლება შემსყიდველის მიერ მიმწოდებლისთვის შეტყობინების მომენტიდან.
- „მხარეები" თანხმდებიან, რომ წინამდებარე დანართით გათვალისწინებული ხარვეზ(ებ)ის „აღმოფხვრის მაქსიმალური დრო" მოიცავს ასევე ხარვეზ(ებ)ის მოკვლევისათვის გათვალისწინებულ დროს.
- მხარეები თანხმდებიან, რომ თუ ხარვეზის დადგენისა და არსებობის მომენტში მიმწოდებლისთვის სახეზეა დაუძლეველი ძალის ფაქტი (რაც მოიცავს, მაგრამ არ შემოიფარგლება შემდეგი გარემოებებით: თუ საჭიროა სერვერთან უშუალო მუშაობა - მაგრამ არ მუშაობს კომპანია, სადაც განთავსებულია სერვერი და მცდელობის მიუხედავათ ფიზიკურად შეუძლებელია მასთან მოხვედრა; და სხვა) მიმწოდებელი მიაწოდებს აღნუშნულ ინფორმაციას შემსყიდველს, ხოლო ამ უკანასკნელს არ ექნება პრეტენზია.

SCHOOLBOOK LTD
2 470 333 | info@schoolbook.ge

მიმწოდებელი: შპს "სქულბუქ"	შემსყიდველი: სსიპ ქალაქ გორის #8 საჯარო სკოლა
დირექტორი: ანა აბრამაშვილი	დირექტორი: ნანა ედიშერაშვილი
ხელმოწერა/ბეჭედი	ხელმოწერა/ბეჭედი

LTD SCHOOLBOOK

Digitally signed by LTD SCHOOLBOOK